

# ანტონი პირველი და მისი ბრძოლა თანამედროვე ანათმეცნიერების თვალთ

ალექსანდრე ფოცხიშვილი

სანამ საკითხს შევხებოდეთ, რამდენიმე სიტყვას ვიტყვით თვით ანტონის პიროვნებაზე; ეს იმიტომაცა საჭირო, რომ ქართული მეცნიერებისა და კულტურის ისტორიაში ვერ ვიპოვით სხვა მოღვაწეს, რომლის დამსახურება და სახელი ასე ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს.

თავისი დროის უგანათლებლესი ადამიანი, უდიდესი ბიბლიოგრაფი და განმანათლებელი ვეფხისტყაოსნის დამწველად მიჩნეული; ქართული ლიტერატურის ისტორიის, საქართველოს ისტორიის, ფილოსოფიური ტრაქტატი — „სპეკალის“, ქართული გრამატიკის ავტორი; ალექსანდრე მკედონელის ისტორიის, არისტოტელეს კატეგორიების, ბაუმანიტერის ფილოსოფიისა და ლოღიკის, მხითარ

სებასტიელის რიტორიკის, ვოლფის ფიზიკისა და სხვა მრავალი წიგნის მთარგმნელი, თავი რომ დავანებოთ თეოლოგიური ხასიათის მრავალ შრომას, ქართული ენის განვითარების შემაფერხებლად მიჩნეული. თუ ამას დაემატებთ სამი სტილის თეორიის ავტორობას, რასაც მას მიაწერენ და, რაც საქმეში ჩაუხედავ კაცს უშეშველ რეაქციონერობად მიაჩნია, აშკარა გაბდება მიზეზი იმ უარყოფითი დამოკიდებულებისა, რომლითაც ქართველი საზოგადოებრიობა ანტონი მაგრატიონს ეკიდება.

რუსთველოლოგიაში დიდი ხანია ცნობილია, რომ ანტონის არ დაუწევას და არც შეეძლო დაეწვა ვეფხისტყაოსანი, მაგრამ ეს ქეშმარიტება რატომღაც უგულვებელყოფილია გრ.

ბარამიძისა და გრ. ჯაკობიას სას-  
კოლო სახელმძღვანელოში „ქართუ-  
ლი ლიტერატურა“ 8-9 კლასებისა-  
თვის, რომელიც ათეული წლების მან-  
ძილზე ასეულათასობით ქართველ  
ახალგაზრდას ასწავლის: „18-ე საუ-  
კუნეში ანტონი კათალიკოსი წერდა  
შოთას შესახებ:

შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის მოყვარე  
ფრიად,  
ფილოსოფოსი, მეტყველი სპარსთა  
ენის.  
თუ ხამ სწადოდა, ღვთის მეტყველიცა  
მალაღ

უცხო საკვირველ პიიტიკოსი მესტიხე,  
მაგრამ ამაოდ დაშვრა საწუხ არს ესე“...  
და, არაფერს ეუბნება რა ამ იამბი-  
კოს ნამდვილი აზრის თაობაზე, განაგ-  
რძობს: „მაგრამ ასეთი განცხადებები-  
თაც არ კმაყოფილდებოდნენ ეკლესი-  
ის წარმომადგენლები. გადმოცემით  
იმავე ანტონი კათალიკოსის ბრძანე-  
ბით ცეცხლს მისცეს ვახტანგ მე-  
მეორე დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“  
ტიქსტები. ასე ცეცხლითა და მახვი-  
ლით ებრძოდა სამღვდელთა გენია-  
ლურ პოემას“ („ქართ. ლიტ.“ თბ.,  
1962, გვ. 169, ხაზი ჩვენია — ა. ფ.).

ასეთი კომენტარის შემდეგ დილე-  
ტანტის გონებაში ანტონის ხსენებაზე  
მხოლოდ „ამაოდ დაშვრა, საწუხ არს  
ესე“ ტიპიურებს, მას სულაც არ აინ-  
ტერესებს, როგორ შეეძლო პირველ  
ოთხ ტაეებში ასე ცაში აეყვანა ანტო-  
ნის შოთა, თუ „ვეფხისტყაოსნის“  
დაწერა ამაო შრომა იყო. სინამდვი-

ლეში კი „ამაო შრომა“ მხოლოდ  
საღვთისმეტყველო თხზულებათა დაუ-  
წერლობას გულისხმობდა!

ამ წერილში არც შესაძლებლობა  
გვაქვს და არც განზრახვა ანტონის  
ქომაგობისა. მისი დამსახურების ბევ-  
რი მხარე ჩინებულადაა გამოუქმბული  
სახელოვანი შეცნიერების: კ. კეკელი-  
ძის, შ. ნუცუბიძის, ა. ფრანგიშვილისა  
და სხვათა შრომებში, მაგრამ, რადგან  
ეს შრომები მეტწილად სპეციალისტ-  
თათვისაა ცნობილი, ხოლო ფართო  
საზოგადოებრიობა კი საშუალო სკო-  
ლიდან მიღებული შთაბეჭდილებებით  
სააზრობობს, ჩვენ ერთი საბუთი  
მაინც გვინდა მოვიტანოთ.

ცნობილი გრამატიკა ანტონიმ სას-  
კოლო სახელმძღვანელოდ (სემინარია-  
ში სასწავლად) შეადგინა. ამიტომ  
მასში დიდი ადგილი დაეთმო სავარ-  
ჯიშოებს, რომელთა უმრავლესობა  
ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან,  
ან მის მიერ თარგმნილ თხზულებები-  
დან ამოკრიბა. ბევრი სავარჯიშო კი  
თვითონ შეუდგენია. თავის შეთხზულ  
ერთ სავარჯიშოში ანტონი წერს:  
„შენ გენება ჯდომად სავარძელსა ზე-  
და, მას ენება გალობად შაირნი შო-  
თასანი“ (ხაზი ანტონისაა).

უმიჯველია, აქ „შაირნი“, რომელსაც  
გალობენ, ვეფხისტყაოსანზე მიუთი-  
თებს, ხოლო შოთა მისი ივეტორია.

როგორ ავხსნათ ეს ფაქტი? შეიძ-  
ლება დავიჯეროთ, რომ ანტონიმ  
„ცეცხლითა და მახვილით“ გაანად-  
გურა ვეფხისტყაოსანი, ხოლო მისი  
შაირის გალობაზე საგანგებოდ მიუთი-

თა სასკოლო სახელმძღვანელოში, ამასთან, იმავე წიგნში — ერთადერთი ქართველი — მის მიერვე განადგურებული წიგნების ავტორი მთიხსენა, თანაც ასეთ მომხიბვლელ სიტუაციაში? — ეგონებ არა!

რაც შეეხება სამი სტილის თეორიას, იგი ანტონის მოგონილი არ არის; მას სათავე ანტიკური ხანის რიტორიკაში უდევს. ჩვენში კი მისი ერთი პირველი პროპაგანდისტი იოანე პეტრიწი იყო, რომლის გავლენას ანტონი უთუოდ განიცდიდა.

მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტია, ანტონი მეტად მძიმე ენით წერდა, ეს მისი დამახასიათებელი მანკი იყო და თუ ამით ვინმე დაზარალდა, უპირველესად თვითონ ანტონი (ენის სიბნელის გამო მისი ბევრი ბრწყინვალე აზრი დღესაც უყურადღებოდ თვლებს მის უამრავ ხელნაწერში). რასაკვირველია, ამ მძიმე ენამ ავნო ქართულ სალიტერატურო ენის გამარტივების საქმესაც. ანტონის უზარმაზარი ავტორიტეტის გამო, ათეული წლების განმავლობაში ბაძავდა მას ცოტად თუ ბევრად განათლებული ქართველი და შედეგად ვლებულობდით დამძიმებულ სალიტერატურო ქართულს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ენის სიმძიმის მიუხედავად მისი გრამატიკით სარგებლობდა მომდევნო ხანის გრამატიკოსთა მთელი ბლეადა, რომელთაც არა ერთი დებულება ისესხეს ამ უაღრესად ფასეული შრომიდან.

თი, ამაზე უნდა ველაპარაკოთ თანამედროვე მკითხველს, იმიტომ, რომ ანტონის ნაშრომებიდან, უვარგისი დიდი ხნის წინათ ჩაბარდა ისტორიას, ხოლო ვარგისი და საღი ჯერაც არ პკარგავს მნიშვნელობას.

ანტონი იესეს ძე ბაგრატიონი (ერისკაცობაში თეიმურაზი) დაიბადა 1720 წელს. იგი ძმისშვილი იყო ვახტანგ მეექვსისა.

გასაოცარი ნიჭისა და დიდი ერუდიციის წყალობით ანტონი ჩქარა წინაურდება ჯერ გელათის წინამძღვრად, ხოლო 1740 წელს ქუთაისის მიტროპოლიტად; 1744 წელს ანტონი საქართველოს კათალიკოსად დასვეს მცხეთაში ანტონი I-ის სახელით. ეს პირველი შემთხვევა იყო საქართველოს ისტორიაში, რომ უმაღლესი მღვდელმთავრის — კათალიკოსის — სკიპტრა ეჭირა 24 წლის ჭაბუკს.

ქართველი კაცის ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მის გონებაში იყო აგრეთვე ბრძოლა ქრისტიანობის შესანარჩუნებლად და ამიტომაც, მე-18 საუკუნეში თეიმურაზ II-ისა და ერეკლეს თავდადებული ბრძოლა ირან-ოსმალებისა და ჩრდილოკავკასიელ მუსულმანი ტომების წინააღმდეგ აუცილებლად საჭიროებდა ქრისტიანული რელიგიის სიყვარულით შეკავშირებული ქართველი ხალხის მხარდაჭერას.

იღო თუ არა ხელში კათალიკოსის კვერთხი, ანტონიმ გადაწყვიტა აელაგმა თავკერძა მიტროპოლიტები და დაემორჩილებინა ისინი ცენტრალური

სასულიერო განმგებლობისათვის. შე-  
უმცირა მათ საეკლესიო მიწებისა და  
ყმა-გლეხებისგან შემოსავალი, რითაც  
საერო ხაზინის გაძლიერებას მოჰდწია,  
თუმცა, როგორც ცნობილია, გადაიმ-  
ტერა ბევრი სასულიერო პირი, რომ-  
ელთაც მრავალი უსიამოვნება მი-  
ყენეს მას. ანტონი სასწრაფოდ შეუდ-  
გა ქართლ-კახეთის მთელს ტერიტო-  
რიაზე სასწავლებლების ორგანიზა-  
ციას. ამ შრომის დაგვირგვინება  
ვახლდათ სემინარიები თბილისში  
(1755 წ.) და თელავში (1782 წ.), რომ-  
ელთათვისაც დაწერა, თარგმნა და  
გადმოაქეთა სახელმძღვანელოთა აბსო-  
ლუტური უმრავლესობა, თვითონვე  
ასწავლიდა თბილისის სემინარიაში.  
ამ სემინარიებში ისწავლებოდა მისი  
გრამატიკაც.

უკვე სრულიად დამაჯერებლად შე-  
იძლება იმის თქმა, რომ ანტონის  
გრამატიკის შესაქმნელად ქართულ  
ენაზე დაწერილი არავითარი სპეცია-  
ლური წიგნის გამოყენება არ შეეძ-  
ლო, არც საგანგებო ენათმეცნიერული  
განათლება მიუღია მას. ამიტომ იძუ-  
ლებული იყო ესარგებლა უცხო ენა-  
თა გრამატიკებით და, როგორც თვი-  
თონაც მიუთითებს, საჭირო მასალებს  
კრეფდა რუსული, ფრანგული, გერმ-  
ანული, იტალიური, ლათინური, ბერძ-  
ნული და სომხური ენების გრამატიკე-  
ბიდან. ამიტომ სრულიად ცხადია, ან-  
ტონი ვერ აიცილებდა გავლენას და  
ზოგ რამეში ჭეშმარიტების გზიდან  
გადავიდოდა. მაგრამ მისი უდიდესი  
მეცნიერული აღღო იმაში ჩანს, რომ

მან ქართული ენის ბუნებაში შენიშნა  
ბევრი ისეთი მოვლენა და ფაქტი,  
რომლებიც სრულიად უცნობი იყო  
იმ ენების სისტემებისათვის, რომელ-  
თა გრამატიკებსაც მიმართავდა.

ამიტომ, ვიმეორებთ, ანტონის, რო-  
გორც გრამატიკოსისა და ენათმეცნიე-  
რის მოღვაწეობა უნდა შეფასდეს არა  
იმის მიხედვით, თუ რა ვერ შეაძნ-  
ნია მან, ან რაში შეცდა იგი, არამედ  
იმის მიხედვით, თუ რა აღმოაჩინა  
მან პირველმა.

აი, ზოგი რამ მისი აღმოჩენებიდან:  
ქართული ენის ბგერები დაჰყო  
ხმოვნებად, საშუალ ხმოვნებად და  
თანხმოვნებად (მისი ტერმინით —  
უხმოდ); მოგვცა უხმოთა ზოგადი და-  
ხასიათება წარმოშობის ადგილის მი-  
ხედვით და ზოგიერთი შენიშვნა ბგე-  
რათა ასიმილაციაზე.

გამოჰყო მეტყველების ნაწილები  
(სახელი, ზედსართავი, რიცხვითი  
ნაცვალსახელი, ზმნა, მიმღეობა, ზმნი-  
ზედა, თანდებული, კავშირი, შორის-  
დებული) და მეტწილად სწორად გაა-  
ნაწილა სიტყვები ამ ჯგუფებში. აღწე-  
რა სიტყვათწარმოების ფორმები (მი-  
სი ტერმინით სხმით-გარდასვლითი)  
და გამოჰყო მათი შინაარსობრივი  
ჯგუფები.

ძირითადად გადაწყვიტა სახელთა  
ბრუნვის საკითხი: გამოჰყო ბრუნვები  
— წრფელობითი და სახელობითი, ნა-  
თესაობითი, მიცემითი, მოქმედებითი,  
მოთხრობითი, წოდებითი. ბრუნვათა  
შორის მოთხრობითის დასახელება,  
მისი ნიშნის გამოყოფა და ფუნქციის

დადგენა უნდა ჩაითვალოს უდიდეს  
აღმოჩენად. დასახელებულ ბრუნვებ-  
ში არ გვაქვს დღევანდელი ვითარე-  
ბითი, თუმცა ანტონიმ სწორად გამოპ-  
ყო მისი ნიშნები და, სამართლიანად,  
მიცემითს მიაწერა. შენიშნა ფუძის  
კვეცა და კუმშვა. საზოგადოდან გა-  
მოპყო საკუთარ სახელთა ბრუნვები,  
მიუთითა ნაცვალსახელთა ბრუნვების  
თავისებურებაზე და აღნიშნა ზედსარ-  
თავისა და რიცხვითის ბრუნვითა გა-  
ნუსხვავებულობა არსებითის ბრუნე-  
ბისაგან. ჩამოთვალა ბრუნვის ნიშან-  
თა ყველა ვარიანტი როგორც მხო-  
ლობითში, ისე მრავლობითში. მიუთი-  
თა იმაზე, რომ ქართულში სახელები  
საერთოდ ერთნაირად იბრუნვიან.

ზნებში სწორად გამოპყო რიცხვის  
კატეგორია და მიუთითა მის მაწარ-  
მოებელ ყველა ნიშანზე. ჩამოთვალა  
თითქმის ყველა ნიშანი პირისა რო-  
გორც სუბიექტურის, ისე ობიექტუ-  
რისათვის; იმაზეც კი მიუთითა, რომ  
„მოხვალ“ ზმნაში ხ მეორე პირის ნიშა-  
ნია, რაც აგრეთვე უდიდესი მიკვლე-  
ვაა. ძირითადად სწორად გამოპყო და  
დაახასიათა გვარის (ნათესავის) კატე-  
გორია სამი შემდგენელით — მოქ-  
მედებითი, ვნებითი და საშუალი  
(უმეშვეობითი), საშუალიდან გა-  
მოპყო ხატშემოქმედებითი და ხატვნი-  
ებითი, რითაც მიუთითა იმაზე, რომ  
ფორმით საშუალი ხან მოქმედებითს  
ჰგავს, ხან — ვნებითს, რაც აგრეთვე  
დიდ მიგნებად უნდა ჩაითვალოს,  
სწორად დაახასიათა კონტაქტის (მას-  
თან სხმიან-გარდასვლითი) კატეგორია

და მოგვცა მისი მაწარმოებლები. გა-  
მოპყო ზმნის დროები: აწმყო, ნამ-  
ყო უსრული (ნამყო უწყვეტილი),  
ნამყო სრული (წყვეტილი), ნამყო უს-  
რულისი (თურმეობითი I) ნამყო  
უუსრულისი (თურმეობითი II) და  
მყობადი. შეამჩნია დრონაკლობა, პირ-  
ნაკლობა, რიცხვნაკლობა და ფუძემო-  
ნაცვლეობა.

მიმდევრები დაპყო გვარისა და  
დროის მიხედვით, მოგვცა მათი მა-  
წარმოებლები. შეტნაკლები სიზუს-  
ტით გამოპყო ზმნიზედების, კავშირე-  
ბის, თანდებულებისა და შორისდე-  
ბულების წგუფები. მიუთითა თანდე-  
ბულიან ბრუნვებზე და აღნიშნა  
ზმნიზედათა და თანდებულთა ფუნქ-  
ციური მონაცვლეობა...

ანტონის გრამატიკაში ლაპარაკია  
სინტაქსის საკითხებზეც, რა თქმა უნ-  
და, იმ კუთხითა და მოცულობით,  
რაც იმ დროისთვის იყო შესაძლებე-  
ლი (ჩვეულებრივ საკითხი ეხებოდა  
ორი სიტყვის ურთიერთობას): ზმნისა  
და სახელის ურთიერთობა, სახელისი  
და ზედსართავის ურთიერთობა: „რო-  
მელიც“ ნაცვალსახელის შეთანხმება  
მის წინამავალ წევრთან, კითხვა-მო-  
გების საკითხები და სხვა.

ანტონის უნდა ვუმაღლოდეთ: წერ-  
ტილის, ორწერტილის, მძიმის, ფრჩხი-  
ლის, დეფისის (გარემორთხმულის) და  
მრავალი სხვა ნიშნის შემოღებას, რაც  
ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის  
საქმეს ემსახურებოდა, თუმცა ზოგი  
ნიშნით ორთოგრაფიაც დაამძიმა.

ანტონის უდიდესი დამსახურებაა

ქართული გრამატიკული ტერმინო-  
ლოგიის შექმნა. მას ეკუთვნის: ასო,  
ხმოვანი, მარცვალნი, ძირი, მორფი,  
ნაკვეთი, არსებითი სახელი, რიცხვითი  
სახელი, ნაცვალსახელი, ზედშესრული  
სახელი, ზმნა, მიმღეობა, სახელზმნა,  
საზოგადო სახელი, დადებითი ხარის-  
ხი, მდუდრობითი, მამრობითი, მარ-  
ტივი, რთული, კნინობითი, უკუთქმი-  
თი, ორობითი, ბრუნვის ნიშანი, ჩვე-  
ნებითი ნაცვალსახელი, გითარებითი;  
ზმნიზნედა, ქვეშირი, თანდებული, შო-  
რისდებული, ბრუნვა, წრფელობითი,  
სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი,  
მოქმედებითი, დაწყებითი, მოთხრო-  
ბითი, წოდებითი, რიცხვი, მხოლობი-  
თი, მრავლობითი, დრო, აწმყო, მყო-  
ბადი, ნაშყო, პირი, პირის ნიშანი,  
მაწარმოებელი, ბრუნვის ნიშანი, მოქ-  
მედებითი (შემოქმედებითი), ვნებითი,  
ბრძანებითი, პირნაყლი, მძიმე, წერ-  
ტილი, ორწერტილი, ფრჩხილი და  
მრავლისგან მრავალი სხვა.

საქმარისია ჩავხედოთ საბას ლექსი-  
კონს და ენახათ, რომ არც ერთი ეს  
ტერმინი იქ არ გვხვდება და, თუ ერ-  
თი ორი მაინც არის — სულ სხვა  
მნიშვნელობითაა ნახმარი.

ანტონის შემდეგ ჩვენი საუკუნის  
ოცნიან წლებამდე ბევრი შრომა მი-  
ეძღვნა ქართული ენის კვლევის საქ-  
მეს, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ უამ-  
რავი რჩებოდა და მოვიდა ჩვენი  
დროის უდიდესი ენათმეცნიერი —  
აკაკი შანიძე, რომელმაც ყველაფერი  
მანამდე გაკეთებული წესრიგში მოიყ-  
ვანა, მას დაუტოო საკუთარი ეპოქა-

ლური აღმოჩენები და მოგვცა „ქარ-  
თული გრამატიკის საფუძვლები“. რო-  
მელიც თამამად დგას გრამატიკული  
ლიტერატურის მსოფლიო სტანდარ-  
ტების დონეზე.

გვინდა შევხვთ ერთ კერძო სა-  
კითხს ანტონის გრამატიკიდან, რომ-  
ელსაც მეტად დიდ მნიშვნელობა  
აქვს ანტონის ნაზრევის შეფასებისა-  
თვის თანამედროვე ენათმეცნიერების  
თვალთახედვით.

თანამედროვე ენათმეცნიერების —  
სტრუქტურალიზმის — პოსტულატთა  
შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი  
უჭირავს ფონემის თეორიასა და ენობ-  
რივი ნიშნის საკითხს. რაც ძირითა-  
დად ნ. ტრუბეცკოვისა და ფ. დე სო-  
სიურის შრომებშია მოცემული ჩვენი  
საუკუნის ოცნიან-ორმოცნიან წლებში.

ანტონის გრამატიკის გულდასმით  
შესწავლამ მაგვცუვანა იმ დასკვნამდე,  
რომ ორივე იმ მეცნიერის შრომების  
გამოქვეყნებამდე თითქმის მთელი  
საუკუნეანახევრით ადრე მასთან გვაქვს  
ელემენტები როგორც ფონემის, ისე  
ნიშნის თეორიისა.

მოვესმინოთ თვითონ ანტონის:

„ნიშნის უკვე ღრმამატიკისანი არი-  
ან თქმაობანი კაცობრივნი, ხოლო  
თქმაობა უკვე კაცობრივი ორთა სახე-  
თა მიერ განიყოფების, ე. ი. საუბრი-  
სა მიმართ და წერისა. ხოლო წარ-  
მოსდგებიან ესენი მრავალთა სიტყვა-  
თაგან და სიტყვანი მრავალთა ლექს-  
თაგან და ლექსნი მარცვალთაგან და  
ეგ — საბედ მარცვალნი — წიგნთაგან  
(„ღრამატიკა“, გვ. 115). ე. ი. გრამა-

ტიკის საგანი ყოფილა ადამიანის ენა  
ზოგადად, რომელიც იყოფა სამეტყ-  
ველოდ (სასაუბროდ) და წერიტად.  
ენა შედგება წინადადებებისაგან, წინა-  
დადებები — სიტყვებისაგან; სიტყვები  
— მარცვითაგან; მარცვლები — წიგნ-  
თაგან. ამავე ნაწილებს მიიჩნევს იგი  
გრამატიკის შესწავლას თბიერებად,  
რაც თავისთავად აფართოებს გრამა-  
ტიკის ფარგლებს.

მიუხედავად იმისა, რომ ენის გა-  
მოვლენა წინადადებებით ხდება —  
იგი ენის ძირითადი და უდიდესი ერ-  
თეულია, ანტონი გრამატიკის განხილ-  
ვას, სრულიად სამართლიანად, უმცო-  
რესი ერთეულით — წიგნით იწყებს.  
ანტონი წერს: „წიგნი არს ღრამი  
ნაკვეთი რაიმე მნიშვნელი ყოვლისა  
წერილისა. ხოლო, ახალი, ესე გან-  
საზღვრება ჩვენი არ შეიწყნარებს ეგ-  
ფერთა ლექსთა, რომელნიც სა-  
ხელ-მოდგომსა ხმასა დაჰნიშნენ“  
(გვ. 116).

ჩვენ დაგვაფიწყდა გვეთქვა, რომ  
ანტონი ორი გრამატიკის ავტორია.  
პირველი ვარიანტი 1753 წელს დაიწე-  
რა, მეორე, გასწორებული, შეესებუ-  
ლი და დახვეწილი — 1767 წელს.

მოტანილი განსაზღვრა მეორე ვა-  
რიანტიდანაა ამოღებული. პირველ  
ვარიანტში შესაბამის ადგილს ეკი-  
თხულობთ: „წიგნი არს ღრამი რაიმე  
მდგომებული მნიშვნელოვნად ასოსი,  
ხოლო ასოი ითარგმნების კავშირად  
ესე არს უკვე აღმოთხერად რაიმე ნე-  
ბითი და ნაწევრობითი, რომელთაც  
ძალუცთ აღმოთხერად კაცთა“.

მეორე ვარიანტში „ყოვლისა წერი-  
ლისა“ სწევს პირველ ვარიანტში მო-  
ცემული „ასოს“ მაგიერებას. და იქა-  
ნება ილუზია კითხვის დასმისა. ხომ  
არ არის იქ „ასო“ ნახმარი დღევან-  
დელი გაგებით (რუსული ბუკვა-ს  
მნიშვნელობით), რა თქმა უნდა, არა.  
და რომ არა თვითონ ანტონიც ხომ გვე-  
უბნება: „ასო ითარგმნების კავში-  
რად“-ო. უფრო კარგადაა იგი განმარ-  
ტებული მეორე ვარიანტში: „ასონი  
უკვე იწოდა ძველთაგან ღრამმატი-  
კოსთა ვითარმედ რეცა ნებრთ რაიმე  
ვითარ იგი ასონი რომელნიც სტიხიო-  
ნი ესე იგი ცეცხლი, ჰაერი, წყალი,  
ქვეყანა, არიან დასაბამნი და მაწარ-  
მოენი სხეულთანი. ეგ-სახედ ასონი  
არიან დასაბამნი და მაწარმოენი ხმა-  
თანი“. „ხმა“ მეორე ვარიანტში „მო-  
გონების“ (ცნების) მნიშვნელობის  
გაღმომცემია.

მაშასადამე „ასო“ არის უმცირესი  
ნაწილი მნიშვნელობისა (ცნებისა).  
ისევე, როგორც „ასო“ — კავშირი  
(ჰაერი, ცეცხლი...) უმცირესი ერ-  
თეული — შემადგენელი სხეულისა.

ერთი სიტყვით, „ასო“ სუბსტან-  
ციაა; სუბსტანციაა ბგერისა, როგორც  
უმცირესი ნაწილი აგრეთვე უმცირესი  
ნაწილისა.

ახლა შეგვიძლია აღვადგინოთ „წიგ-  
ნის“ განსაზღვრის უფრო ნათელი  
სურათი: „წიგნი არის ღრამი, ნაკვე-  
თი რაიმე მნიშვნელი ცნების (მნიშვნე-  
ლობის) უმცირესი ნაწილისა“. ამას

# ანტონი პირველი და მისი ბრძანებები

(დასასრული)

მოპყვება მეორე ვარიანტში საგანგებოდ ჩამატებული აზრი შენიშვნის სახით: „ახალი ესე განსაზღვრება ჩვენი არ შეიწყნარებს ეგ-ფერთა ლექსთა, რომელნიც სახელ-მოდგამსა ხმასა დაჰნიშვნენ“.

ამ შენიშვნაში, უპირველესად ყოვლისა, განმარტებას საჭიროებს ტერმინი „სახელ-მოდგამი“. საბასთან იგი ნიშნავს: „სახელითა ვიეთნიმე ზიარნი, ზოლო საზღვრითა განყოფილნი“; ნ. ჩუბინაშვილთან „სახელმოდგამი არს რომელთა სახელი საზოგადო, ზოლო საზღვარ სხვა“; „ქვაბი სპილენძის სიივი საგბოლისი და ქვაბი ნაპრალო კლდისა“. პ. იოსელიანთან განმარტება უფრო დაზუსტებულია: „არაჲ სხვანოცა ლექსნი წოდებულნი სახელ-მოდგამად ამისათვის რომელ რხმარებან სხვათა და სხვათა მნიშვნელობათა შინა ვითარცა სერი (ნადიმი), სერი (ბორცვი); ქვაბი (კლდისა ნაპრალო) და ქვაბი (საგბოლუელი) („...ღრამბატიკა, 1863 წ., გვ. 25)“.

აშკარაა, სახელ-მოდგამი ომონი-მის ქართული შესატყვისია.

მაშასადამე. „ახალი ესე განსაზღვრება არ შეიწყნარებს ეგ-ფერთა ლექსთა (ისეთ სიტყვებს), რომლებიც სახელ-მოდგამსა ხმას დაჰნიშვნენ (ომონიურ მნიშვნელობებს გადმოგვცემენ)“. უფრო მარტივად: ჩვენი ეს ახალი განმარტება არ ვრცელდება ომონიშვებზე, ვერ იწყნარებს ომონიშვებს.

ჩვენი აზრით, ყველაფრის გასაღები აქ უნდა ვეძიოთ. რატომ დასჭირდა ავტორს ენის ყველაზე უფრო მცირე ერთეულის განსაზღვრისას ომონიშვებზე აპელაცია? ხომ არცერთ გრამატიკაში შესაბამის ადგილას მსგავსი არაფერია ნახსენები? ვფიქრობთ, სწორედ იმიტომ, რომ მან „წიგნი“ განმარტა, როგორც ენის უმცირესი ერთეული — „ღრამი“, „ნაკვეთი“ — მნიშვნელობის მქონე („წიგნი არს ღრამი ნაკვეთი რაიმე მნიშვნელი...“) და ისიც იცოდა, რომ ამ აზრს ენაში არსებული ერთნაირი ბეგრებით შედგენილი სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვები (ომონიშვები) ეწინააღმდეგებიან.

„წიგნი“ რომ მნიშვნელობის მქონე ერთეულია, ვფიქრობთ, სხვა ადგილიდანაც ჩანს: „...უხმონი ითქმიან წიგნად და ბრჯგულ... ანუ ღრამად, უხმოდ არა თუ არა რაიმეს მნიშვნელობისთვის, არამედ თავით თვისით ვერ გამოღებისათვის ხმისა“, ანუ უხმონი (თანხმოვნები) იწოდებიან წიგნად, ბრჯგულ, ღრამად არა იმიტომ, რომ „რაიმეს არ ნიშნავენ (ე. ი. რაღაცას ნიშნავენ — ა. ფ.), არამედ იმიტომ, რომ დამოუკიდებლად ვერ წარმოითქმიან“.

ამრიგად „წიგნი“ არის მნიშვნელობის განმასხვავებელი უმცირესი ერთეული ენისა, იგი გადმოგვცემს ცნების (მნიშვნელობის) უმცირეს ერთეულს, „ასოს“.

„წიგნის“ ეს განსაზღვრა აღექვატურია.

გაზეთი გამოდის  
პარასკევით

ლიტერატურული

რედაქციის მისამართი: თბ

# ნაგაეროვე ანათეაცნიერების თვალთ

ასეთსავე ასპექტში გვხვდება ჩვენ ანტონის გრაფიკის მეორე ვარიანტი — ში მოცემული ლექსის (ანუ სიტყვის) განსაზღვრა: „ლექსი არს ნიშანი მოგონებისა ნებისაებრ ჩვენისა“ (გვ. 120).

განსაზღვრიდან განმარტებას მოითხოვს სიტყვა „მოგონება“. იგი ანტონის „გამოხატვის“ ანუ „იდეის“, ე. ი. ცნების ბაღალი ტერმინია.

მაშასადამე, „ლექსი“ (ანუ სიტყვა — ა. თ.) არის ნიშანი ცნებისა, „ნებისაებრ ჩვენისა“.

თუ რას ნიშნავს „ნებისაებრ ჩვენისა“, ანტონი გვიხსნის: „...ითქვა რა ნებისაებრ ჩვენისა ესე არს ისე, ვითარჲდ რაიცალა გვნებაეს ვიტყვით ნებისაებრ ჩვენისა და შევაერთებთ ნებითა ჩვენითა გამოხატვასთანა ლექსსა მნიშვნელსა არსისა მისთანა რომელიცა გვაქვს გამოხატულ გონებასა. შინა და ლექსითა მისთანა შეერთებულთა ვაგულ-ხმებთ მასმენელთა“ (იქვე); ანუ ცნებასთან, რაცა გვაქვს გონებაში, ჩვენი ნებით შევაერთებთ სიტყვის და ასე გაგვადგინებთ მსმენელს. ე. ი. ცნებასთან სიტყვის ქაფშირი ნებისმიერია.

როცა მეორე ვარიანტში სიტყვის ასეთ განაზღვრას იძლევა, ანტონი ამბობს, რომ იგი ფილოსოფიური და მიუთითებს ბაუმაისტერის ლოგიკაზე, სადაც შესაბამის პარაგრაფში ნათქვამია: „ცნებებს, რომლებიც განაცემდებიან ჩვენი გონება (აზრი), სწებებს ფაქტობინებთ სიტყვებით. მაშასადამე, სიტყვები წარმოადგენენ ცნებათა

ნიშნებს და გადმოიცემიან (გამოიხატვიან) ბგერების საშუალებით... ნიშანია ის, რაც ამა თუ იმ საგნის ცნებას ცხადყოფს (იძრავს, წამოატივტივებს)... ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული დავარქვათ საგანს, რომელიც გვხვრს სახელი, ანუ, როგორც ფილოსოფოსები ამბობენ, სიტყვები არის ცნების ნებისმიერი ნიშანი“ (ბაუმაისტერი, ლოგიკა, მოსკოვი, 1807 წ. გვ. 47, რუსულ ენაზე). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ანტონიმ ბაუმაისტერის ლოგიკა პირდაპირ ლათინურიდან თარგმნა, 20 წლით ადრე, ვიდრე იგი რუსულად ითარგმნებოდა.

გფიქრობთ, ბაუმაისტერის ეს აზრი, რომელიც პირდაპირა ასახვა ჰპოვა ანტონის გრაფიკაში, ფ. დე სოსიურის ნიშნის თეორიის ფარგლებში, რომელიც აერთებს მნიშვნელს აღსანიშნთან, ნებისმიერია... ანუ უბრალოდ შეგვიძლია, ვთქვათ: ენობრივი ნიშანი ნებისმიერია“ (ფ. დე სოსიური, ზოგადი ლინგვისტიკის კურსი, მოსკოვი, 1933 წ. გვ. 79, რუსულ ენაზე).

ნათქვამის გამო ვასკვნით:

1. ფონემის ანტონისეული გაგება ემთხვევა „პრადეს სკოლასეულ“ განსაზღვრას.

2. ნიშნის სოსიურისეული ელემენტები ბაუმაისტერის ლოგიკაში ყოფილა მოცემული. ანტონი იყო პირველი ენათმეცნიერი, რომლის გრაფიკაშიც ასახვა ჰპოვა ორივე დებულებამ.

ლი სამარტოველი

თბილისი, მაჩაბლის ქ. № 18.

ბელეფონები:

რედაქტორის — 99-84-04, პასუხისმგებელი მდივნის — 99-91-89, განყოფილებების — 99-67-10.

საქ. კბ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი